



MES 8 22 0000768909



06/07/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 22.06.2022

სხდომის დაწყების დრო: 14:00სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:22 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტყეშელაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
10. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

11. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტრუქტურული ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
15. **ხათუნა თოღაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასხედიანი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანი ბილანიშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	გვანცა მიმიგური	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	ანა ქოიავა	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	I
2.	ნათია სამუშია		პრორექტორი	I
3.	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	I
4.	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
5.	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	I
6.	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	I
7.	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	I
8.	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	I

9.	ნუცა ბათიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
10.	ლანა გაბრიაძე		პროგრამის კოორდინატორი	I
11.	ალექსანდრე მოსიძე		აკადემიური პერსონალი	I
12.	ლაშა მაშიაშვილი		აკადემიური პერსონალი	I
13.	ნიკოლოზ ალექსიძე		აკადემიური პერსონალი	I
14.	ნინო ჟღენტი		აკადემიური პერსონალი	I
15.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III, IV, V
16.	შოთა დოლონაძე		საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	II, III, IV, V
17.	გენადი იაშვილი		საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II, III, IV, V
18.	გიორგი ბალათურია		საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	II, III, IV, V
19.	ავთანდილ ადეიშვილი		ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი	II, III, IV, V
20.	ნინო ჩიკვილაძე		ასოცირებული პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III, IV, V
21.	ირმა შიოშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	VI
22.	მზია მაისურაზე		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	VI
23.	ნუნუ გელდიაშვილი		რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	VI
24.	მანანა კველიშვილი		აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	VI
25.	მედეა ორმოცაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	VI
26.	მარიამ ხოსიტაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	VI
27.	მზია ღაღოლიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
28.	შალვა ჭკადუა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
29.	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
30.	გაიოზ ფარცხალაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	VII

31..	გოჩა ჩავლეშვილი	ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
------	-----------------	---	-----

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულ საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ანა კირვალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ქიქოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV, V
4	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
5	გიორგი მირიანაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
6	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
7	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
8	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
9	მალხაზ ბერეჟიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
10	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1.პირველი საკითხი : შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 მაისის N66 გადაწყვეტილება

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240 თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ კი

თვითაცხადება განაცხადა - ერეკლე ასტახიშვილი

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სოციალური მეცნიერებების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2018 წლის 25 მაისის (გადაწყვეტილება N66). საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესი შედგა 2018 წლის 12 აპრილს. სააკრედიტაციო პროცესში პროგრამა წარდგენილი იყო სახელწოდებით სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და ანიჭებდა ორ კვალიფიკაციას. აკრედიტაციის საექსპერტო ჯგუფი წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ფართო სპექტრით. პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია დათქმით 6 თვის თავზე ანგარიშის წარდგენით.

'ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა' და 'სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან' შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2021 წლის 29 დეკემბრისთვის ცვლილება განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებასა და კვალიფიკაციაში. კერძოდ, 'ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა' და 'სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან' შესაბამისობაში მოყვანამდე - "სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა", კვალიფიკაციას გასცემდა 10 მიმართულებით (0701, 0706, 0707, 10, 1006, 1005, 1004). 'ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა' და 'სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან' შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ პროგრამა სახელწოდებით - სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა, გასცემს კვალიფიკაციას - სოციალური მეცნიერებების დოქტორი (0319). თუმცა, აღნიშნულ მოდიფიკაციას არ მოჰყოლია სათანადო ცვლილებები პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში, მისი განხორციელების რესურსებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ნაკლებად ასახავს მის სპეციფიკას და ითვალისწინებს სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებს. პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები არ ფარავს პროგრამის ფართო კვლევით სფეროს. პროგრამა დოქტორანტს სთავაზობს ძირითადად მონოდისციპლინური მიმართულებით სამ თეორიული და ორი მიმართულებით კვლევითი (მეთოდოლოგიური) შინაარსის კომპონენტებს. აღნიშნული კი არ ასახავს პროგრამის საკმაოდ ფართო, თუმცა ინტერდისციპლინურ კვლევით ფოკუსს (პროგრამაში გაწერილი მიზნების თანახმად). პროგრამის კომპონენტების განხორციელებაში ჩართულია 28 მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. მათგან 15 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი. 23 აფილირებული აკადემიური პროფესორი, 15 აფილირებული პროფესორი, 8 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი. 1 უცხოელი აკადემიური/მოწვეული პროფესორი. სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელთა რაოდენობა 9 შეადგენს. მოწვეული პერსონალის კი - 4-ს. ხაზი უნდა გაესვას, რომ პროგრამის კომპონენტების განხორციელებაში ჩართული 28 აკადემიური პერსონალის უმრავლესობა ჰუმანიტარია, ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ფილოლოგიის მიმართულებით, რომელთა გამოქვეყნებული კვლევები არ უკავშირდება სოციალური მეცნიერებების კვლევის სფეროებს, მით უფრო ინტერდისციპლინური ხასიათის სოციალური მეცნიერებების კვლევით სფეროს, რომელიც სადოქტორო პროგრამის სპეციფიკას განსაზღვრავს. კომპონენტების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორისაა ეკონომიკის (ვიწრო სფერო 0311) ორი სპეციალისტი, რომელთაც არ გააჩნიათ სამეცნიერო პუბლიკაციები. პროგრამაში ჩართულია ერთი ფსიქოლოგი (ვიწრო სფერო 0313), ერთი სოციოლოგი (0314), ორი ანთროპოლოგი შესაბამისი კვლევითი გამოცდილებით თითოეულ დარგში; პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით (0312) ერთი მოწვეული პროფესორი. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით კურსს ხელმძღვანელობს ფილოსოფიის დოქტორი, რომლის სამეცნიერო კვლევებიც ასევე ფილოსოფიის სფეროს უკავშირდება, თუმცა, ამავდროულად, სადისერტაციო საბჭოში მითითებულია, როგორც სოციოლოგიის დარგის სპეციალისტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორისაა ასევე, 3 მათემატიკოსი, არქეოლოგი და იურისტი.

დოკუმენტაციების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის წინაშე რჩება ფუნდამენტური ხასიათის რიგი პრობლემა, რომელიც საჭიროებს გადაჭრას, იმისათვის, რომ პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს 'ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა' და 'სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან', და, შეძლოს ფუნქციონირება დასახული მიზნების შესაბამისად. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას, რომ პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც ჩართულია პროგრამის მართვასა და განხორციელებაში. ასევე, საგულისხმოა პროგრამის ფარგლებში დასახული 6

ინტერდისციპლინური კვლევის მიზნები, რომელიც თავისი შინაარსით საკმაოდ ამბიციური და ინოვაციურია ლოკალურ სამეცნიერო სივრცეში სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. იმედია, აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამა სათანადო ცვლილებებს განახორციელებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მიზნები ნათლად ასახავდეს პროგრამის სპეციფიკას, ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელიც კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა მიმართული;
2. რეკომენდებულია პროგრამაში განისაზღვროს რეალისტური და მიღწევადი მიზნები;
3. რეკომენდებულია მიღწევადი და რეალისტური შედეგების განსაზღვრა, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, მიზნებს და აღწერს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს;
4. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვებისთვის მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკის, მიზნებისა და შედეგების შესაბამისი ყველა საჭირო წინაპირობა;
5. არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის ხასიათიდან გამომდინარე რეკომენდებულია, პროგრამამ დოქტორანტს შესთავაზოს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრის მეთოდოლოგიების (Advanced) და მეთოდების მოდული; ეს საშუალებას მისცემს დოქტორანტს სადისერტაციო კვლევის ინტერესების შესაბამისად თავად აირჩიოს (დამატებით) მისთვის პრიორიტეტული მეთოდის/მეთოდოლოგიის კურსები და გამოიმუშაოს სათანადო კომპეტენციები .
6. არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის ხასიათიდან გამომდინარე და პროგრამაში დასახული მიზნების მისაღწევად, რეკომენდებულია, პროგრამამ დოქტორანტს შესთავაზოს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრით, მათ შორის ინტერდისციპლინური კვლევის მიმართულებით, თეორიული კომპონენტები, თუნდაც, არჩევითი კურსების სახით თეორიების მოდულში ;
7. რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს მონაცემების ანალიზის (თვისებრივი/რაოდენობრივი) მეთოდების (advanced) კომპონენტებით, თუნდაც, არჩევითი კურსების სახით მეთოდების მოდულში ;
8. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს თვისებრივი მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კურსებით (მაგ. NVivo, Atlas ti ან სხვა) მეთოდების მოდულში ;
9. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კომპონენტებით მეთოდების მოდულში ;
10. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა კომპონენტის შინაარსი და კომპლექსურობა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს;
11. რეკომენდებულია, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც თავისი სპეციფიკით ინტერდისციპლინური ხასიათისაა ;
12. რეკომენდებულია, კვლევის მეთოდოლოგიური კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში;
13. რეკომენდებულია, რომ ყველა კურსისთვის შეფასების კომპონენტები გაიწეროს კურსის შინაარსისა და წინაპირობების გათვალისწინებით, შესაბამისად, დაიხვეწოს სწავლის შინაარსი და ფორმულირება (განსაკუთრებით, ცოდნის კომპეტენციების ასახვის თვალსაზრისით) ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათი გაზომვადობა;
14. მომზადდეს შეფასების ნაწილი მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების განახლებული ახალი რედაქციის მიხედვით;

15. შემუშავდეს შესაბამისი რუკები პროგრამის კურიკულუმის მიხედვით შესაბამისი ანალიზის საფუძველზე.

16. პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით რეკომენდებულია, დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიოს აკადემიურმა პერსონალმა, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება სოციალურ მეცნიერებებში;

17. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელების შერჩევას გათვალისწინებული იქნას შესაბამისი სოციალურ მეცნიერებებში ინტერდისციპლინური მიმართულების კვლევითი გამოცდილება (რომელიც თანხვედრაშია დოქტორანტის კვლევით ინტერესებთან) და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში;

18. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს სოციალურ მეცნიერებებში, მათ შორის, ინტერდისციპლინური კვლევის, კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ექსპერტები თვლიდნენ, რომ პროგრამა შეესაბამებოდა მოთხოვნებს, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების გამო პროგრამა კონცენტრირდა მხოლოდ ერთ კვალიფიკაციაზე, რომელსაც ანიჭებდა 9 წლის განმავლობაში. აკრედიტაციის პროცესი, რომელიც ექსპერტებმა აწარმოეს ცდება პროგრამის მიზანს. პროგრამა ანიჭებდა სოციალური მეცნიერებთა დოქტორის ხარისხს, რისი უფლებაც მას მინიჭებული ჰქონდა ორი აკრედიტაციისა და მონიტორინგის შედეგად.

დაწესებულებას ექსპერტების დასკვნაზე ჰქონდა არგუმენტირებული პასუხი, რომელიც ექსპერტების მიერ იქნა უგულებელყოფილი, შესაბამისად სახეზეა პროცედურული დარღვევა.

ექსპერტების რეკომენდაციების უმეტესობა გამომდინარეობს იქიდან, რომ არა დისციპლინური კომპონენტების შედეგს მიიღებს საბოლოოდ დისციპლინური კომპონენტი. აღნიშნულ მიდგომას დაწესებულება კატეგორიულად არ ეთანხმება. ექსპერტები არ ყოფილან ვიზიტზე, არც დისერტაციებს გაცნობილან. ექსპერტებმა გამოითხოვეს მხოლოდ დისერტაციის სათაურები. დაწესებულება მიიჩნევს რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები იქნება არა პოზიტიური და გამოსადეგი პროგრამისთვის, არამედ ხელისშემშლელი.

პროგრამას ემსახურება საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს, სადაც თითოეული პირი არის ინტერდისციპლინარული მკვლევარი. მათთან კომუნიკაციის საფუძველზე კიდევ ერთხელ დადგინდა რომ არ არსებობს ინტერდისციპლინარული პროგრამა, რომლის ცალკეული კომპონენტები ან კურსებში ნახსენები ლიტერატურა არის ინტერდისციპლინური. აღნიშნული გულისხმობს სხვადასხვა მიმართულებისა და დარგების თეორიული კომპონენტების შერწყმას. მთავარი პრობლემა არის ის, რომ ინტერდისციპლინურობის გაგება, რომელსაც ეფუძნება დასკვნა არის არასწორი და თავად სამეცნიერო მიზანს ეწინააღმდეგება. ინტერდისციპლინური მიდგომის მიზანია შექმნას ინოვაციური მეთოდები, სხვადასხვა დარგებში არსებული თეორიული მიდგომებისა და კულტურის შესწავლის შედეგად. დისერტაციებშიც სწორედ ეს პრინციპი არის გამოყენებული, რაც მიღწეულია, როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული სწავლების დროს სხვადასხვა დარგის მეთოდოლოგიის გაცნობით. რაც შეეხება პერსონალის კვალიფიკაციის საკითხს, საკვანძო პერსონალი რომელიც პროგრამაშია ჩართული ყველას აქვს პუბლიკაციები. ის, რომ პერსონალში არიან ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები ესეც გამიზნულად არის პროგრამაში.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ მიღების წინაპირობაში ცვლილების განხორციელება რას უნდა ეფუძნებოდეს ფუნდამენტურად გაუგებარია, ვინაიდან როგორც აქამდე ხდებოდა სოციალურ მეცნიერებებში ხარისხის მინიჭება, ისე ხდება ახლაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, 1.1 და 1.2 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციებს, რაც გულისხმობს რეალისტური მიზნების, შედეგებისა და შეფასების განსაზღვრას, ამის მიუხედავად სტანდარტი შეფასებული არის როგორც მეტწილი. შესაბამისად, თუ მიზნები და შედეგები არ არის მიღწევადი, რატომ მოხდა სტანდარტის ამგვარად შეფასება. ამასთან აღსანიშნავია სასწავლო კურსი, „აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის“, სადაც ძირითად ლიტერატურაში მითითებულია, რომ უნდა იყოს გამოყენებული ქართული ენის ორთოგრაფიული და განმარტებითი ლექსიკონი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია მესამე საფეხურზე აღნიშნული სახელმძღვანელოების გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა ბოლო ხუთი წლის მანძილზე რამდენი დისერტაცია იქნა დაცული და ძირითადად რა მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლორმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში, 2.2. სტანდარტში დეტალურად არის განხილული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, სადაც მოცემულია, რომ სადოქტორო სემინარი 1 და სადოქტორო სემინარი 3 შინაარსი და სწავლების მეთოდები ტიპურია მეორე საფეხურის. გარდა ამისა, სასწავლო კურსის ლიტერატურა გაჯერებულია მეორადი ლიტერატურით, რაც ასევე ტიპურია პირველი საფეხურისათვის. დასკვნაში მოცემულია, რომ ბუნდოვანია თუ როგორ პასუხობს ძირითადი სასწავლო კურსები საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუ ძირითადი სასწავლო კურსების შინაარსი და ლიტერატურა ტიპურია სწავლების მეორე საფეხურისთვის, აკმაყოფილებს თუ არა პროგრამა სწავლის შესაბამის საფეხურს და კვალიფიკაციას.

ამასთან, აკადემიური პერსონალის პირად საქმეებში არ ჩანს ბოლო დროს გამოქვეყნებული ნაშრომები და პუბლიკაციები. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა სახეზე არ არის გამოქვეყნებები, თუ პირადი საქმეები საჭიროებენ განახლებას. ასევე საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი და როგორ ხდება მათი არჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტები მუშაობის პროცესში პროგრამის შესაძლებლობებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. შესაბამისად, არჩევანი მეტწილად შეფასებასა და შეუსაბამობას შორის არ იყო მართებული და შესაბამისი იყო შეფასების მეტწილად განსაზღვრა.

რაც შეეხება კვალიფიკაციას, მესამე საფეხური მოიცავს განსხვავებულ ლიტერატურას, რაც უნდა იყოს ადეკვატური. ექსპერტებმა სტრუქტურასა და შინაარსზე გააკეთეს აქცენტი, ვინაიდან, პროგრამის შინაარსში არის მთელი რიგი გამოწვევები, რომლებიც უნდა დაიხვეწოს და გამოსწორდეს, იდენტური ასევე მდგომარეობა მეთოდებთან დაკავშირებით. კვლევის კურსი არის ზოგადი კურსი, რაც მესამე საფეხურისთვის აღნიშნული არის არა რელევანტური. მონოგრაფიული კვლევები და შემთხვევის შესწავლის მეთოდი საერთოდ არ არის გამოყენებული პროგრამის ფარგლებში. ექსპერტების მიერ აქცენტი იმიტომ გაკეთდა ინტედისციპლინურობაზე, რომ პროგრამაში მონოდისციპლინური საკითხებია განსაზღვრული. პროგრამა აუცილებელია მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ სტანდარტებთან. ამასთან დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტების მიერ გაცნობილ იქნა, თუმცა აღნიშნული არ იყოს შესაბამისად დასაბუთებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რატომ არ მოხდა დისერტაციების გაცნობა და პროგრამის მსგავსად შეფასება.

ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტები შეზღუდულნი იყვნენ დოკუმენტებით რომლებითაც უნდა მომხდარიყო პროგრამის შესწავლა. მსგავსი მიდგომა იყო დისერტაციებთან მიმართებით.

გამოთხოვის შედეგად ექსპერტებს არ მიუღიათ სადისერტაციო ნაშრომები, მათ მიეწოდათ მხოლოდ სათაურები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციამ მიიღო ცენტრისგან გამოთხოვის წერილი, სადაც კონკრეტულად იყო ჩამოთვლილი დაცული დისერტაციების სათაურები, შესაბამისად, ექსპერტებს არ მოუთხოვიათ სადისერტაციო ნაშრომები.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს თავისი მიმართულებით არ აქვს ნაშრომები გამოქვეყნებული, უმრავლესობა კი არის ჰუმანიტარი, მაშინ როდესაც პროგრამის კვალიფიკაცია არის სოციალური მეცნიერებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დისერტაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაცული იქნა 5 დისერტაცია, აქედან სამი კი არის სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. შესაბამისად, უმეტესად ხდებოდა სოციალური მეცნიერებების ხარისხის მინიჭება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ როგორ არის კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხი დარეგულირებული და რა პროცესებს გადის დოქტორანტი დაცვამდე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელთან კომუნიკაცია და კოლაბორაცია არის უზრუნველყოფილი. ამასთან დაცვამდე აუცილებელია სტატიის გამოქვეყნება, თუმცა პროგრამაში კონკრეტული ბაზები მითითებული არ არის.

მნიშვნელოვანია, რომ მთავარი წილი პროგრამაში მოდის არა სასწავლო, არამედ სამეცნიერო კომპონენტზე, რასაც ასევე სავალდებულო კურსების მოცემულობა ითვალისწინებს. თუნდაც ლექსიკონის მითითება, აღნიშნული მითითებულია, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, ვინაიდან დღესაც მუშაობის პროცესში ხდება ლექსიკონების გამოყენება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დატვირთვა დოქტორანტისთვის არის კვლევითი კომპონენტი, რომელზეც სამჯერ მეტი დატვირთვა მოდის, ვიდრე სასწავლო კომპონენტზე, ვინაიდან სასწავლო კომპონენტი არის მეორეხარისხოვანი სადისერტაციო კვლევის განხორციელების თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამის შესაბამისად, თითოეული დოქტორანტის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ადგენს კონკრეტული დოქტორანტისთვის შეფასების კომისიას შესაბამისი კვალიფიკაციითა და მოთხოვნებით. ამასთან ხელმძღვანელის საკითხს რაც შეეხება, დოქტორანტის პრობლემატიკიდან და თემატიკიდან გამომდინარე სადისერტაციო საბჭო ირჩევს ხელმძღვანელს. ასევე დოქტორანტს აქვს უფლება თავად გამოთქვას ვინ შეიძლება იყოს მისი ხელმძღვანელი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, თუ როგორ ხდება სადოქტორო სემინარის თემატიკის შერჩევა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ინდივიდუალურ სემინარს აქვს თავისებური პროცედურა, რაც ეფუძნება არსებულ გამოცდილებას. თემატიკა და მოთხოვნების დოქტორანტთა მიღების პროცესშივე იმიჯნება, თუმცა განსხვავებულ თემატიკებთან მიმართებით დაწესებულებას ასევე ჰყავს მოწვეული პერსონალი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:20

დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს 60 დღის ვადა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, 2,1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “ნაწილობრივ შესაბამისა მოთხოვნებთან” განსაზღვრამ როგორც, „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2,2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “ნაწილობრივ შესაბამისა მოთხოვნებთან” განსაზღვრამ როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2,4 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “შესაბამისა მოთხოვნებთან” განსაზღვრამ როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება და განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მიზნები ნათლად ასახავდეს პროგრამის სპეციფიკას, ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელიც კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა მიმართული ასევე პროგრამაში განისაზღვროს რეალისტური და მიღწევადი მიზნები;
2. რეკომენდებულია მიღწევადი და რეალისტური შედეგების განსაზღვრა, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, მიზნებს და აღწერს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს;
3. არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის ხასიათიდან გამომდინარე რეკომენდებულია, პროგრამამ დოქტორანტს შესთავაზოს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრის მეთოდოლოგიების (Advanced) და მეთოდების მოდული; ეს საშუალებას მისცემს დოქტორანტს სადისერტაციო კვლევის ინტერესების შესაბამისად თავად აირჩიოს (დამატებით) მისთვის პრიორიტეტული მეთოდის/მეთოდოლოგიის კურსები და გამოიმუშაოს სათანადო კომპეტენციები.
4. რეკომენდებულია, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც თავისი სპეციფიკით ინტერდისციპლინური ხასიათისაა;
5. რეკომენდებულია, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც თავისი სპეციფიკით ინტერდისციპლინური ხასიათისაა;
6. რეკომენდებულია, რომ ყველა კურსისთვის შეფასების კომპონენტები გაიწეროს კურსის შინაარსისა და წინაპირობების გათვალისწინებით, შესაბამისად, დაიხვეწოს სწავლის შინაარსი და ფორმულირება (განსაკუთრებით, ცოდნის კომპეტენციების ასახვის თვალსაზრისით) ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათი გაზომვადობა;
7. რეკომენდებულია, კვლევის მეთოდოლოგიური კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში;
8. რეკომენდებულია გაძლიერდეს კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხი და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში მიეთითოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებული ჟურნალების სარეკომენდაციო ჩამონათვალი დარგობრივი მიმართულებით.
9. მომზადდეს შეფასების ნაწილი მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების განახლებული ახალი რედაქციის მიხედვით;
10. შემუშავდეს შესაბამისი რუკები პროგრამის კურიკულუმის მიხედვით შესაბამისი ანალიზის საფუძველზე.

11. პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით რეკომენდებულია, დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიოს აკადემიურმა პერსონალმა, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება (რომელიც თანხვედრაშია დოქტორანტის კვლევით ინტერესებთან) სოციალურ მეცნიერებებში და და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში;
12. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს სოციალურ მეცნიერებებში, მათ შორის, ინტერდისციპლინური კვლევის, კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები:

1. არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის ხასიათიდან გამომდინარე და პროგრამაში დასახული მიზნების მისაღწევად, რეკომენდებულია, პროგრამამ დოქტორანტს შესთავაზოს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრით, მათ შორის ინტერდისციპლინური კვლევის მიმართულებით, თეორიული კომპონენტები, თუნდაც, არჩევითი კურსების სახით თეორიების მოდულში;
2. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს თვისებრივი მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კურსებით (მაგ. NVivo, Atlas ti ან სხვა) მეთოდების მოდულში;
3. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმი გაძლიერდეს რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კომპონენტებით მეთოდების მოდულში;

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის № 540 გადაწყვეტილება
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქ. No 77, თბილისი, სასწავლო კორპუსი No 6, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ კი

თვითაცხადება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილი

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა 2022 წლის 31 მარტსა და 1 აპრილს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით. გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც

მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში 10.00-დან 18.00 საათამდე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ინგლისური ენა სავალდებულო კომპონენტის სახით დაემატოს ძირითად სასწავლო კურსებში
2. პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი „მოხელის პროფესიული ეთიკა“.
3. კურსში „პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში“ მეტი ყურადღება დაეთმოს პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკას თვითმმართველობებში, მოსახლეობის ჩართულობას, როგორც პროექტის მართვის ერთ-ერთ კომპონენტს, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესებისა და ქეისების განხილვას სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მაგალითზე. ასევე განახლდეს სასწავლო კურსის ლიტერატურა საკანონმდებლო მაცნესა და საქართველოს მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე განთავსებული დოკუმენტების მითითებით, როგორებიცაა „პრიორიტეტების დოკუმენტები“ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები.
4. შეიცვალოს საგნების „ელექტრონული მთავრობა“ და „საჯარო მმართველობის ელექტრონული სისტემები“ სწავლის შედეგების ფორმულირება და უფრო ნათლად აისახოს მათ შორის განსხვავება
5. განახლდეს სავალდებულო სასწავლო კურსების „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და არჩევითი სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“ სავალდებულო ლიტერატურა.
6. გაიმიჯნოს სასწავლო კურსების „ადგილობრივი თვითმმართველობა“ და „მუნიციპალური სამართალი“ სილაბუსებით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი.
7. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში, კერძოდ, კურსებში: „დოკუმენტმცოდნეობა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში“, „სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში“, „გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მეთოდები“ შეფასების კომპონენტში აქტივობის სახით პროგრამული სიმულაციების და/ან ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტების დამატება.
8. კურსში „საჯარო კერძო პარტნიორობა“ შემდეგი სწავლის შედეგების შეცვლა და საბაკალავრო საფეხურისათვის ადეკვატური სირთულით განსაზღვრა: სტუდენტი „მონაწილეობს საჯარო-კერძო პარტნიორობის ნორმატიული ბაზის შექმნაში და საინვესტიციო

პროექტების ეფექტურად რეალიზაციის გეგმების შემუშავებაში“ და „ახორციელებს საჯარო კერძო პარტნიორობის პროექტთა ეფექტურობის ზედამხედველობასა და კონტროლს“.

9. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით რეკომენდირებულია ყველა საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის პროგრამით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციები სრულად იქნა გაზიარებული და შესრულებული. თუმცა რა თქმა უნდა აღნიშნული ექსპერტთა მიერ არ იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან რეკომენდაციების შესრულება განხორციელდა ვიზიტის შემდგომ.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებში ისწავლება რამდენიმე არჩევითი უცხოური ენა, თუმცა ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას და პროგრამის კურიკულუმში ინგლისური ენა განისაზღვრება სავალდებულო კურსად 2022-2023 სასწავლო წლიდან. შესაბამისად, გერმანული, რუსული და ფრანგული ენების სასწავლო კურსები არჩევით საგანთა ბლოკში გადაინაცვლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებს, თავისუფალ კომპონენტებს, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს. რაც შეეხება პლაგიატის საკითხის პროგრამულად უზრუნველყოფას, თითოეულ სტუდენტს ჰყავს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი და ფასდება ორჯერ როგორც სხვა სასწავლო კომპონენტები. თითოეული საბაკალავრო ნაშრომი გადის დაცვის კომისიის მიერ ნაშრომის შესაბამისობის დადასტურების სტადიას. ამ ნაწილში აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი საკმაოდ მაღალ დონეზეა დაცული და არ აჩენს კითხვებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ პროგრამასა და სილაბუსებში წინაპირობების ნაწილში არის ტექნიკური ხარვეზები, მაგალითად ბიზნესის საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრული არის ეკონომიკის საფუძვლები მაშინ, როცა აღნიშნული არ იკითხება სილაბუსში. ამასთან საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა არის საწარმოო პრაქტიკა, ხოლო თავად სილაბუსში მოცემულია 120 კრედიტი სავალდებულო კურსების დაფარვა. ამასთან პროგრამაში მოცემულია მიკრო და მაკრო ეკონომიკის სასწავლო კურსები, რომლებსაც არ აქვთ წინაპირობა. გამოდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლეს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსს წინაპირობად აქვს გარკვეული საგნები, ხოლო ისეთ სასწავლო კურსებს, როგორც არის საქალაქო მეურნეობა, პროექტების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი არ აქვს წინაპირობა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულებას განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ თუ რა იყო ინგლისურთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თვლის თუ არა დაწესებულება საჭიროდ ადამიანური რესურსების სწავლების დროს თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ უცხო ენის 22 კრედიტის ფარგლებში სტუდენტი ირჩევს შეთავაზებული ოთხი ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ერთ-ერთს. თავისუფალი კომპონენტების არჩევა სტუდენტს შეუძლია სტუ-ს ნებისმიერი აკრედიტებული

პროგრამიდან, საგანზე დაშვების წინაპირობების დაცვით. ექსპერტთა მოსაზრებით, მიზანშეწონილია, ინგლისური ენა სავალდებულო კომპონენტის სახით იყოს დამატებული ძირითად სასწავლო კურსებში, ხოლო მეორე უცხო ენა - დარჩეს არჩევითი სტატუსით. რამდენადაც ინგლისურის ცოდნა აუცილებელია როგორც კურსდამთავრებულის დასაქმების დროს მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, ასევე დარგის უახლესი მიღწევების გასაცნობად, უახლესი ლიტერატურის შესასწავლად.

საბჭოსთავმჯდომარემიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის სტრუქტურა აგებულია ზოგადიდან კონკრეტულისკენ მიმართული შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარებისკენ, მასში მოცემულია დარგის ერთიან კონტექსტში გააზრება, თეორიული ცოდნის მიწოდება-მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სინთეზი. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იძენს საჯარო მმართველობის დარგის თეორიული საფუძვლებისა და საბაზისო კვლევის მეთოდების განხორციელების სპეციფიკის, პროცესებისა და საკვანძო საკითხების ფართო ცოდნას. მიღებული ცოდნის საფუძველზე, პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია აღწეროს საჯარო მმართველობის სტრუქტურა და ფუნქციები, მართვის თეორიები და პრინციპები, განიხილოს საჯარო სამსახურის ფუნქციონირების თავისებურებები; გაანალიზოს საჯარო მოხელის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი პრინციპები და საჯარო სამსახურის ფუნქციონირების მექანიზმები, ხელმძღვანელის ზედამხედველობით, დაგეგმოს და განახორციელოს საბაზისო კვლევა, გაიღრმავოს ცოდნა დისციპლინის ფარგლებში სასურველი მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკა პროგრამის ფარგლებში ისწავლება პირველ სემესტრში, ხოლო ბიზნესი მეორეში. შესაბამისად, აქედან გამომდინარე განისაზღვრა ეკონომიკა მის წინაპირობად, რაც სრულიად ლოგიკური გადაწყვეტილებაა.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, მის წინაპირობას წარმოადგენს საწარმოო პრაქტიკა საჯარო მმართველობაში, რაც გათვალისწინებულია მე-7 სემესტრში, ხოლო მე-8 სემესტრში განსაზღვრულია საბაკალავრო ნაშრომი.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძემ განმარტა, რომ კურსებსა და მათ წინაპირობებს შორის უნდა იყოს ლოგიკური ბმა. ის, რომ შემდეგ სემესტრში ისწავლება ბიზნეს საფუძვლები არ ნიშნავს იმას, რომ მის წინაპირობად უნდა განისაზღვროს ეკონომიკის საფუძვლები. ამასთან ბიზნესის საფუძვლების სასწავლო კურსი პროგრამის პირველ, მეორე და მესამე შედეგებზე გადის. შესაბამისად, როგორ შეიძლება ბიზნესის საფუძვლების სასწავლო კურსი გავიდეს ისეთ შედეგზე, როგორც არის საჯარო მმართველობის სფერო, საჯარო მმართველობა და ასე შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში მიკრო ეკონომიკის წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკის საფუძვლები. რაც შეეხება არსებულ ხარვეზებს, დაწესებულმა მცირე დროში აუცილებლად აღმოფხვრის მათ.

რაც შეეხება სწავლის შედეგებს, აღნიშნული წარმოადგენს მიმდინარე პრობლემას, რომელზედაც დაწესებულება აქტიურად მუშაობს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების წინაპირობები განისაზღვრება არა სემესტრების, არამედ კურსის დაძლევისათვის აუცილებელი წინარე ცოდნის მიხედვით. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რამდენად დაძლევადია „პროექტების მართვს“ კურსი წინაპირობის გარეშე, ან თუნდაც კურსი „სამართალი და პოლიტიკა“ რამდენად საჭიროებს წინაპირობად კურსს შესავალი ფილოსოფიაში, რომელიც საინტერესო, თუმცა პრერეკვიზიტი კურსისთვის ნაკლებად რელევანტური თემატიკითა და სწავლის შედეგებით წარმოდგენილი. ამასთანავე საინტერესოა რამდენად შეიძლება გადიოდეს შესავალი კურსები სწავლის შედეგებზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სწავლის შედეგებზე გასვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შესავალი კურსები გადის გაცნობაზე და არა განმტკიცებაზე, რაც საბოლოო ჯამში

გადის განმტკიცებაზე. რაც შეეხება კონკრეტულ სასწავლო კურსებს, საქალაქო მეურნეობის მართვას ვერ ექნება წინაპირობა, რადგან საგანი არის სპეციფიური და ხდება მხოლოდ ძირითადი საკითხების გაცნობა. მნიშვნელოვანია, ასევე სამართლისა და პოლიტიკის სასწავლო კურსი, კერძოდ, კურსი აგებულია ფილოსოფიურ შეხედულებებზე. შესაბამისად, პოლიტიკისა და სამართლის გადაკვეთა ისწავლება პოლიტიკური შეხედულებების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, წინაპირობად განისაზღვრა ფილოსოფიის საფუძვლები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 17:30

დასრულებისდრო: 18:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლია ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1,2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “შესაბამისა მოთხოვნებთან“ განსაზღვრამ როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2,3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “მეტწილად შესაბამისა მოთხოვნებთან“ განსაზღვრამ როგორც, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 5,1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრამ როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდაციები: რეკომენდირებულია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
2. ინგლისური ენა სავალდებულო კომპონენტის სახით დაემატოს ძირითად სასწავლო კურსებში
3. პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი „მოხელის პროფესიული ეთიკა“.
4. რეკომენდირებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების (ბიზნესის საფუძვლები, მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა და სხვა) სტატუსი პროგრამაში და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან;
5. კურსში „პროექტის მენეჯმენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში“ მეტი ყურადღება დაეთმოს პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკას თვითმმართველობებში, მოსახლეობის ჩართულობას, როგორც პროექტის მართვის ერთ-ერთ კომპონენტს, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესებისა და ქეისების განხილვას სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მაგალითზე. ასევე განახლდეს სასწავლო კურსის ლიტერატურა საკანონმდებლო მაცნესა და საქართველოს მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე განთავსებული დოკუმენტების მითითებით, როგორებიცაა „პრიორიტეტების დოკუმენტები“ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები.

6. შეიცვალოს საგნების „ელექტრონული მთავრობა“ და „საჯარო მმართველობის ელექტრონული სისტემები“ სწავლის შედეგების ფორმულირება და უფრო ნათლად აისახოს მათ შორის განსხვავება
7. განახლდეს სავალდებულო სასწავლო კურსების „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და არჩევითი სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“ სავალდებულო ლიტერატურა. გაიმიჯნოს სასწავლო კურსების „ადგილობრივი თვითმმართველობა“ და „მუნიციპალური სამართალი“ სილაბუსებით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი.
8. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში განისაზღვროს რელევანტური წინაპირობები
9. რეკომენდირებულია სავალდებულო სასწავლო კურსებში საჯარო მმართველობითი საკითხების სწავლების გაძლიერება
10. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში, კერძოდ, კურსებში: „დოკუმენტმცოდნეობა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში“, „სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში“, „გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მეთოდები“ შეფასების კომპონენტში აქტივობის სახით პროგრამული სიმულაციების და/ან ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტების დამატება.
11. კურსში „საჯარო კერძო პარტნიორობა“ შემდეგი სწავლის შედეგების შეცვლა და საბაკალავრო საფეხურისათვის ადეკვატური სირთულით განსაზღვრა: სტუდენტი „მონაწილეობს საჯარო-კერძო პარტნიორობის ნორმატიული ბაზის შექმნაში და საინვესტიციო პროექტების ეფექტურად რეალიზაციის გეგმების შემუშავებაში“ და „ახორციელებს საჯარო კერძო პარტნიორობის პროექტთა ეფექტურობის ზედამხედველობასა და კონტროლს“.
12. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით რეკომენდირებულია ყველა საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის პროგრამით;
13. რეკომენდირებულია შიდა ხარისხის მართვის მექანიზმების სრულად ამოქმედება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის " საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენისა და 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

3.მესამე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის № 546 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. No 77, თბილისი, სასწავლო კორპუსი No 6, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ კი

თვითაცხადება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა 2022 წლის 31 მარტსა და 1 აპრილს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით. გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში 10.00-დან 18.00 საათამდე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ელექტრონული და ღია მმართველობა შეფასებებისა და დავალებების ნაწილში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი, მაგალითად, დაემატოს ქეისების შესწავლა - პრეზენტაციების მომზადება კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, ან დამოუკიდებელი ან ჯგუფური პროექტის/კვლევის განხორციელება კონკრეტული უწყების ან მუნიციპალიტეტის ელ-მმართველობისა და ღია მმართველობის გამოცდილების შესწავლითა და ანალიზით.

2. რეკომენდებულია სასწავლო კურსში - სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი, შეფასების კომპონენტში დაემატოს რეფერატი და/ან პრეზენტაცია, რომლის ფარგლებში სტუდენტები განახორციელებენ რამდენიმე ქვეყნის საჯარო მმართველობის სხვადასხვა ასპექტების შედარებით ანალიზს.

3. რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსის „საჯარო მმართველობა თეორიასა და პრაქტიკაში“ ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა და სილაბუსით გათვალისწინებული მე-8 და მე-10 კვირის თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო დონესთან;

4. რეკომენდებულია განახლდეს სასწავლო კურსის „სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი“ სავალდებულო ლიტერატურა და გახდეს ყოვლისმომცველი სალექციო საკითხებთან მიმართებაში.

5. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ და „მოლაპარაკების ხელოვნება“ შეფასების ფორმებში დაემატოს პრაქტიკული ხასიათის დავალებები, მაგალითად, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი, სიმულაცია და სხვა, რათა

- უზრუნველყოფილი იყოს დასახული სწავლის შედეგების მიღწევა.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში "ინფორმაციული უსაფრთხოების გეოპოლიტიკა" და "საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები" სწავლების მეთოდებში მითითებული პრაქტიკული სამუშაოს ქულა და შეფასების კრიტერიუმები აღნიშნული იყოს სილაბუსებში და შევიდეს საერთო შეფასებაში.
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსში "საჯარო ფინანსები" სილაბუსში განისაზღვროს პრაქტიკული სამუშაოს საათობრივი დატვირთვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა პლაგიატთან დაკავშირებით, კერძოდ, დაწესებულებამ გაიზიარა საერთაშორისო გამოცდილება და საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 5 სიტყვიან კატეგორიაში დადის 35%-მდე, ხოლო 5%-მდე 25 სიტყვიან კომბინაციაში.

დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის „სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი“ შეფასების კომპონენტში შევიდა ცვლილებები რეკომენდაციის საფუძველზე. აგრეთვე, ძირითად სასწავლო ლიტერატურას დაემატა ახალი სახელმძღვანელო. სასწავლო კურსი „სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი“ და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს ოქმი თან ერთვის არგუმენტირებულ პოზიციას.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, სასწავლო კურსების „ინფორმაციული უსაფრთხოების გეოპოლიტიკა“ და „საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები“ საათების განაწილებაში სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად აღნიშნულია პრაქტიკული კომპონენტი 15 საათის ხანგრძლივობით. რეკომენდაციის შესაბამისად, შეფასების ფორმებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებში განისაზღვრა აღნიშნული დატვირთვის (15 საათი) შეფასების კრიტერიუმები, რაც ავტომატურად აისახა საერთო შეფასებაში. სასწავლო კურსები „ინფორმაციული უსაფრთხოების გეოპოლიტიკა“, „საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები“ და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს ოქმი თან ერთვის არგუმენტირებულ პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიმჯარიანმა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორ შეიძლება საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა გადიოდეს პროგრამის სწავლის შედეგზე- ახდენს ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაწყვეტილებების მიღებას.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, ხომ არ იქნებოდა უფრო რელევანტური აქცენტის გაკეთება სახელმწიფო ელექტრონულ მმართველობაზე, ვიდრე ბიზნესის მართვაზე ან ელექტრონულ მარკეტინგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო მმართველობა კლასიფიკატორში მოქცეულია მენეჯმენტისა და მართვის ქოლგის ქვეშ, რაც ბიზნეს ადმინისტრირებიდან გამომდინარეობს, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სასწავლო სპეციალობა მოიცავდეს აღნიშნული საგნების გარკვეული დოზით სწავლებას, რაც არ მიიჩნევა ხარვეზად.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და 69 ნ ბრძანებას, ამასთან პროგრამა სრულიად შეესაბამება საჯარო მმართველობის კვალიფიკაციას.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიმჯარიანმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომებზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ მიზნობრივად გამოთხოვილი იქნა სამაგისტრო ნაშრომები. შეფასებული ნაშრომები თემატიკიდან გამომდინარე პასუხობდა დარგის მოთხოვნებს, ასევე ნაშრომები გაფორმებული იყო დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით და ნაშრომები რომლებიც

სრულად პასუხობდა მოთხოვნებს იყო შეფასებული მაღალი ქულით. შეფასებული ნაშრომების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი სრულიად შეესაბამება მოთხოვნებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 17:30

დასრულებისდრო: 18:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, 1,2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “შესაბამისა მოთხოვნებთან“ განსაზღვრამ როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“,

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში ელექტრონული და ღია მმართველობა შეფასებებისა და დავალებების ნაწილში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი, მაგალითად, დაემატოს ქეისების შესწავლა - პრეზენტაციების მომზადება კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, ან დამოუკიდებელი ან ჯგუფური პროექტის/კვლევის განხორციელება კონკრეტული უწყების ან მუნიციპალიტეტის ელ-მმართველობისა და ღია მმართველობის გამოცდილების შესწავლითა და ანალიზით.
3. რეკომენდირებულია სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზის კურსში, შეფასების კომპონენტში რეფერატის და/ან პრეზენტაციის დამატება, რომლის ფარგლებში სტუდენტები განახორციელებენ რამდენიმე ქვეყნის საჯარო მმართველობის სხვადასხვა ასპექტების შედარებით ანალიზს
4. რეკომენდირებულია განახლდეს სასწავლო კურსის „საჯარო მმართველობა თეორიასა და პრაქტიკაში“ ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა და სილაბუსით გათვალისწინებული ზოგიერთი თემატიკა (მე-8 და მე-10 კვირა) შესაბამისობაში მოვიდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო დონესთან;
5. რეკომენდირებულია განახლდეს სასწავლო კურსის „სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი“ სავალდებულო ლიტერატურა და გახდეს
6. რეკომენდირებულია კურსებში „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ და „მოლაპარაკების ხელოვნება“ შეფასების ფორმებში დაემატოს პრაქტიკული ხასიათის დავალებები, მაგალითად, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი, სიმულაცია და სხვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს დასახული სწავლის შედეგების მიღწევა.
7. რეკომენდირებულია კურსებში "ინფორმაციული უსაფრთხოების გეოპოლიტიკა" და "საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები" სწავლების მეთოდებში მითითებული პრაქტიკული სამუშაოს ქულა და შეფასების კრიტერიუმები აღნიშნული იყოს სილაბუსებში და შევიდეს საერთო შეფასებაში.
8. რეკომენდირებულია, კურსში "საჯარო ფინანსები" სილაბუსში განისაზღვროს პრაქტიკული სამუშაოს საათობრივი დატვირთვა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხესაკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის № 552 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50

14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ კი

თვითაცხადება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა 2022 წლის 31 მარტსა და 1 აპრილს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით. გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში 10.00-დან 18.00 საათამდე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველ სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში ხარჯების კლასიფიკაციის ნაწილში დამოუკიდებელი ფორმით გამოიყოს ფულადი რესურსი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი, მასტიმულირებელი ღონისძიებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში არსებობს ახალი სადისერტაციო საბჭოს სისტემა. დაფუძნდა ორი საუნივერსიტეტო საბჭო სრულიად ახალი დებულებით.

გარდა ამისა, პლაგიატის პროგრამის გამოყენებით მინიმუმამდე დავიდა მსგავსების მაჩვენებელი, კერძოდ 25%. ასევე ცვლილება იქნა შეტანილი დებულებაში, კერძოდ, დაცვამდე 3 გამოქვეყნებას შორის, ერთი აუცილებლად უნდა იყოს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.

რაც შეეხება რეკომენდაციას, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი, კვლევის მასტიმულირებელი ღონისძიებების ფუნანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტით. პროგრამა აქტიურად იყენებს გაცვლითი პროგრამების, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო სამეცნიერო ფონდის და სხვა ორგანიზაციათა მხარდამჭერ შესაძლებლობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რამდენი დისერტაცია არის დანერგილი საჯარო მმართველობის სისტემაში, გამოყენებითობის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასე კონკრეტულად საკითხის ახსნა რთულია, თუმცა პროგრამის დოქტორანტების აქტიურად იყვნენ საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა სასწავლო კურს, „აკადემიური და სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა ბ“, შესაბამისად დააზუსტა რამდენად შესაბამისა მოცემული სასწავლო კურსის შედეგები სწავლების საფეხურთან. ამასთან სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია 20მდე სხვადასხვა ლიტერატურა, რომელთა ნაწილის არ შეესაბამება კურსის საფეხურსა და შინაარსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი და მისი თემატიკა თავისი მნიშვნელობით სრულიად შეესაბამება მესამე საფეხურს. ეს სილაბუსი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან კომპონენტს რაც სამომავლოდ აუცილებლად სჭირდება დოქტორანტს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ „გადაწყვეტილების მიღებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზისა“ და „პოლიტიკური მარკეტინგისა და პროგნოზირების“ სასწავლო კურსების სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები იდენტურია, მან დაწესებულებას სთხოვა განემარტა ეს გარემოება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული სასწავლო კურსები არის არჩევითი საგნები და სტუდენტს თავისი გემოვნებით შეუძლია ერთ-ერთი მათგანის არჩევა. თუმცა მოჩემულ შემთხვევაში სახეზეა ტექნიკური ხარვეზი, ვინაიდან საგნების სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 17:30

დასრულებისდრო: 18:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, 2,4 და 26 კომპონენტების შეფასება ნაცვლად “შესაბამისა მოთხოვნებთან“ განსაზღვრამ როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-2 სტანდარტის შეფასება განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გაძლიერდეს კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხი და დოქტორანტურის დებულებაში მიეთითოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებული ჟურნალების სარეკომენდაციო ჩამონათვალი დარგობრივი მიმართულებით.
2. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (გადაწყვეტილების მიღება და საჯარო პოლიტიკის ანალიზი და ა.შ.) შეფასების კომპონენტი შესაბამისობაში მოვიდეს მისაღწევ შედეგებთან
3. პროგრამის ბიუჯეტში ხარჯების კლასიფიკაციის ნაწილში დამოუკიდებელი ფორმით გამოიყოს ფულადი რესურსი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობი, მასტიმულირებელი ღონისძიებები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 16 ნოემბერიN123370 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას გამზ. 77, VI კორპუსი, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ კი

თვითაცხადება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ-საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2022 წლის 16 მაისს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 16 ნოემბრის N1233705 გადაწყვეტილებით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაციის შვიდი წლის ვადით.

მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა ექვსი თვე (2021 წლის 16 მაისი). საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით პროგრამის განვითარების ჯგუფისა და თვითშეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა რიგი ცვლილებები. პროგრამის განვითარებისა და თვითშეფასების ჯგუფი შედგება პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულებისგან. ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს, განიხილა თითოეული მათგანი, მოახდინა ადექვატური ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში და წარმოადგინა განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია სრულად გაიზიარა და გაითვალისწინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 18:10

დასრულებისდრო: 18:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის შესაბამისად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში, მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი : სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

✓ კი

თვით აცილება განაცხადა- თეა მჭედლორმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეფასება განხორციელდა 2022 წლის 13 აპრილს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. თელავში, 2022 წლის 11 და 12 აპრილს.“ ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა „სასურსათოს ტექნოლოგია“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, იმუშავა დაწესებულების მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით.

ბრძანების საფუძველზე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განახორციელა უშუალოდ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა. თუმცა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მიმდინარეობდა ჰიბრიდულ რეჟიმში, ზუმის საშუალებით აქტიურად ჩართული იყო დისტანციურად კიდევ ორი ექსპერტი. სრულად დათვალიერებული და გაცნობილი იქნა 3 საწარმო/ბიზნეს ოპერატორი/დამსაქმებელი. აქედან ორი იყო ღვინის საწარმო, ხოლო ერთი ხილის და წველების გადამამუშავებელი საწარმო ობიექტი. ამის შემდგომ განხორციელდა დისტანციურად გასაუბრებების სესიები, რომლის დღის წესრიგი წინასწარ იქნა შეთანხმებული ექსპერტთა ჯგუფთან. ინტერვიუები გაიმართა: სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან (ზუმში ჩაერთო 6 თანამშრომელი); პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან (ზუმში ჩაერთო 7 თანამშრომელი); დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან (ზუმში ჩაერთო 2 თანამშრომელი); პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან (ზუმში ჩაერთო 2 თანამშრომელი); აკადემიურ პერსონალთან (ზუმში ჩაერთო 9 თანამშრომელი); სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ზუმში ჩაერთო 9 მონაწილე); დამსაქმებლებთან, პრაქტიკის, სტაჟირების განმახორციელებლებთან (ზუმში ჩაერთო 4 მონაწილე); მოწვეულ პერსონალთან (ზუმში ჩაერთო 4 მონაწილე).

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა და მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება შესაბამისი დარგის უახლესი გამოცემების შესაბამისად.
2. პროფესორის ასისტენტობის კურსის თემატიკა ჩაეშენოს სხვა კურსებს ან სავალდებულო კურსების ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ბლოკში იმ სტუდენტებისათვის, ვისაც აქვს გარკვეული საჭიროებები ამ მიმართებით.
3. უსდ-ს მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო სალიტერატურო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით.
4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს/შეიმუშაოს სტრატეგია საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლების/კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
5. სადოქტორო პროგრამის სრულფასოვანი ანალიზისა და შეფასებისათვის უნდა მოხდეს პროგრამის შეფასება გარე ექსპერტების (ქართველი ან უცხოელი) მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობით რჩევები. შესაბამისად, დააზუსტა ზოგიერთ მათგანს, ხომ არ აქვს რეკომენდაციის ხასიათი. ამასთან აქვს თუ არა დაწესებულებას ბიუჯეტი კვლევების მიმართულებით გამოყოფილი.

ექსპერტმა განმარტა, რომ საკითხები უმეტესწილად იყო შესაბამისი, გამომდინარე აქედან რიგი თემები განისაზღვრა რჩევების და არა რეკომენდაციების სახით. დაწესებულებას ჰყავს ძლიერი აკადემიური პერსონალი და პრაქტიკული მხარე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ბიუჯეტი საკმაოდ ზოგადად აქვს წარმოდგენილი, რაც მათი მხრიდან ახსნილი იყო იმით, რომ პროგრამა არის ახალი.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი აღნიშნა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის სასურსათო ტექნოლოგიების დოქტორი, კლასიფიკატორის მიხედვით 0721 შედის საკვები პროდუქტების და სასმელების გადამამუშავება, წარმოება, შეფუთვა და ა.შ. ამასთან, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე საუბარია მხოლოდ ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიაზე.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ აღნიშნა „პროფესორობის ასისტენტობის“ შესახებ რეკომენდაცია და განმარტა, რომ პროგრამის ერთ-ერთი შედეგში საუბარია იმაზე, რომ დოქტორანტს ექნება აკადემიური საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა. შესაბამისად, აღნიშნული შედეგის ჩახსნა ან სხვა სასწავლო კურსებში გადატანა ხომ არ გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა 3.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია და მოუწოდა ექსპერტებს მეტი განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა დააზუსტა, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე ხომ არ იგეგმება უცხოელი პროფესორების ინტენსიური ჩართულობა, ლექცია-სემინარების ონლაინ რეჟიმში წარმართვის მიზნით. ამასთანავე, რა სახის ღონისძიებების გატარება იგეგმება კვლევითი კომპონენტის დაფინანსების გაზრდის მიზნით.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მოუწოდა ექსპერტებს ესაუბრათ სადისერტაციო ნაშრომებსა და დაცვის წინაპირობებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ სასურსათო ტექნოლოგიებში ასევე შედის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები. ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს აღნიშნული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული სრულიად შეესაბამება კლასიფიკატორსა და მის მოთხოვნებს.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება, ვინაიდან პროგრამას ჰქონდა გარკვეული წყვეტა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ყველაფერი აღდგეს და მოვიდეს შესაბამისობაში, რათა უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა და მდგრადობა.

რაც შეეხება ნაშრომებს, საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ეტაპებია: კოლოქვიუმი - 1, კოლოქვიუმი - 2 (კოლოქვიუმები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის ეტაპობრივ შედეგებს, არ ფასდება და წინაპირობაა დაცვაზე დასაშვებად. (დეტალურად იხ. დოქტორანტურის დებულება თესაუ-ს ვებ გვერდებზე: www.tesau.edu.ge), წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა. დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობა არის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა მეექვსე სემესტრის მერვე/მეცხრე კვირაში დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც მიზანშეწონილია შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დოქტორანტურის დებულებაში. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. „პროფესორის ასისტენტობა“ წარმოდგენილია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, პროგრამის მიზნების მისაღწევად სასწავლო კურსის, რომელიც მოიცავს პედაგოგიკას ცალკე საგნად გამოყოფა რამდენად არის გამართლებული, შესაძლებელია ისეთი კურსის დამატება, რომელიც გარდა კვლევის მეთოდების შესწავლისა, დოქტორანტს დაეხმარება მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და შედეგების სრულფასოვნად გადმოცემაში, როგორცაა: სტატისტიკური ანალიზი, კვლევის შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი, რაც მიღებული და საჭირო პრაქტიკაა მსოფლიო კვლევებში და რომლის გარეშეც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზი შეუძლებელია.

რაც შეეხება სწავლის სფეროების კლასიფიკატორს, კლასიფიკატორითან გამომდინარე, ვინაიდან და რადგანაც საკითხი სრულად გადამოწმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ პროგრამა სრულად ჯდება კლასიფიკატორში. თუმცა დისტრიბუციის საკითხი შეეხება სრულად მარკეტინგს, მაშინ როცა პროგრამა ეხება ტექნოლოგიას.

საბჭოსთავმჯდომარემიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ მნიშვნელოვანია, რომ დარგი განიცდის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ახალგაზრდა კადრის სიმცირეს. შესაბამისად, პრობლემაა კვალიფიციური კადრის მოძიება უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებისათვის. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი - „პროფესორის ასისტენტობა“ სავალდებულო კურსების ბლოკში უნდა იყოს, რაც მისცემს დაწესებულებას საშუალებას მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა და უნარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისათვის. კერძოდ, სასწავლო პროცესში მონაწილეობა თავისთავად მოითხოვს გარკვეულ მეთოდურ და საგანმანათლებლო რესურსების/შეფასების ინსტრუმენტების ადაპტირების სპეციფიკას, შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს დოქტორანტის მომზადებას პედაგოგიური მუშაობისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ მიზნები შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტების მისიას, მათგან გამომდინარე მიზნებს და სტრატეგიას. პროგრამა ეხმარება ქვეყნის წინაშე მდგომ უმთავრეს გამოწვევას განავითაროს სასმელების წარმოება და ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრის

მომზადებას კვლევითი საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის. სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია, რაც ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღემდე ევროპის ბევრი წამყვანი უნივერსიტეტის პარტნიორია და წარმატებით ახორციელებს სტუდენტთა და ლექტორთა გაცვლით პროგრამებს. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ხორციელდება უნივერსიტეტის სტუდენტთა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა კვლევითი და სასწავლო მიზნებისთვის ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ამასთანავე, თელავის უნივერსიტეტში ჩამოდიან და ლექციებს კითხულობენ უნივერსიტეტის ევროპელი პარტნიორი ლექტორები, რომლებიც ჩართული არიან ერთობლივი პროექტების განხორციელებაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საერთაშორისო მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომლებსაც პანდემიის პერიოდის გამო გაუგრძელდა ვადა. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ახალი პარტნიორების მოსაძიებლად და არსებულ პარტნიორებთან ახალი მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გასაფორმებლად. შესაბამისად, უნივერსიტეტი მისი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში ცდილობს განავითაროს საერთაშორისო ურთიერთობები.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში განსაზღვრულია, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, სასწავლო-კვირეული დატვირთვა. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება ხდება სისტემატურად, პერსონალი იკვლევს და აქვეყნებს სამეცნიერო შრომებს ტექნოლოგიის სფეროს აქტუალურ პრობლემებზე ადგილობრივ და უცხოურ, სამეცნიერო ბაზებში განთავსებულ, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, თესაუ-ს ადმინისტრაციის ხელშეწყობით მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროფესიულ ტრენინგებში, ასევე თვითონ არიან ჩართული ტრენინგების მოწყობაში. აქტიურად მუშაობენ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ჩართულობით იღებენ შესაბამის დაფინანსებას. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღემდე ევროპის ბევრი წამყვანი უნივერსიტეტის პარტნიორია და წარმატებით ახორციელებს სტუდენტთა და ლექტორთა გაცვლით პროგრამებს. ამ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ლექტორთა სწავლა და კვლევები ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ამასთანავე, თელავის უნივერსიტეტში ჩამოდიან და ლექციებს კითხულობენ უნივერსიტეტის ევროპელი პარტნიორი ლექტორები, რომლებიც ჩართული არიან ერთობლივი პროექტების განხორციელებაში.

რაც შეეხება ბიუჯეტს, ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამას საკუთარი ფინანსური უზრუნველყოფა ამ ეტაპზე არ გააჩნია, თუმცა მისი ბიუჯეტი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტთან; უნივერსიტეტის ფინანსურ ადმინისტრაციას გააჩნია სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც გამოთვლილია პროგრამის გავლის საფასურის მიხედვით მომსახურე აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხელფასები, ასევე სახელმძღვანელოების, მივლინების, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის და სხვადასხვა მომსახურების ხარჯები. არსებობს უნივერსიტეტის სტაბილური ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სტაბილურობას. აქ გასათვალისწინებელია, რომ უნივერსიტეტი დამატებით გამოყოფს კვლევისთვის თანხას ბიუჯეტიდან.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის გამოყენებული იქნება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელებისა და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. უნივერსიტეტი სტუდენტებს მიმზიდველ გარემოს სთავაზობს პროდუქტიული საქმიანობისათვის.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ უსდ-ს მიერ ხდება სტუდენტების სისტემატური ინფორმირება უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო სალიტერატურო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზეც მოწმობს სტუდენტთა ელ. ფოსტებზე გაგზავნილი შეტყობინებები და ელექტონული ინსტრუქციები, ასევე ტარდება შესაბამისი ტრენინგები, რაც შეეხება კვლევის პროცესში აღნიშნული ბაზების გამოყენებას, ექსპერტებთან ინტერვიუზე დასწრებული სტუდენტები იყვნენ მაგისტრატურის პირველი კურსის, პირველი სემესტრის სტუდენტები (რადგან ჯერ პროგრამაზე დოქტორანტები არ ირიცხებიან), რომლებიც ჯერ კვლევაში არ იყვნენ ჩართული, შესაბამისდად ნაკლებად ფლობდნენ სამეცნიერო მიმართულებით აღნიშნულ ინფორმაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე მე-5 რეკომენდაციასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ თესაუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის გარე შეფასებას, ითვალისწინებენ რეკომენდაციას და სადოქტორო პროგრამის სრულფასოვანი ანალიზისა და შეფასებისათვის პროგრამა გაგზავნილი აქვთ შესაბამის ინსტიტუციებში/პირებთან, თუმცა პანდემიის გამო აღნიშნული პროცესი გახანგრძლივდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 19:20

დასრულებისდრო: 19:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, 2,4 და 26 კომპონენტების შეფასება ნაცვლად “შესაბამისა მოთხოვნებთან“ განსაზღვრამ როგორც, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-2 სტანდარტის შეფასება განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა და მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება შესაბამისი დარგის უახლესი გამოცემების შესაბამისად.
- -უსდ-ს მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო სალიტერატურო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით-
- სადოქტორო პროგრამის სრულფასოვანი ანალიზის ა და შეფასებისათვის უნდა მოხდეს პროგრამის შეფასება გარე ექსპერტების (ქართველი ან უცხოელი) მიერ.

რჩევები:

- სასურველია დაიხვეწოს და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაკორექტირდეს მეორე მიზანი

- სასურველია უსდ-მ მეტი მნიშვნელობა და დატვირთვა მისცეს კვლევების თვისობრივ/ანალიტიკურ ნაწილს და არ იყოს მშრალი სტატისტიკა მხოლოდ;
- სასურველია შრომის ბაზრის კვლევის შედეგების წარმოდგენა სტატისტიკური-რაოდენობრივი (თვისობრივი) მახასიათებლებით
- სასურველია სტუდენტების - მომავალი დოქტორანტების ჩართულობა პროგრამის, კერძოდ საკვლევი თემატიკის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.
- სასურველია მემორანდუმებში მეტად იყოს ხაზგასმული საწარმოთა მიერ პროგრამის მხარდაჭერის მზაობა დროის დაშორებულ პერსპექტივაშიც, რაც აძლიერებს პროგრამის მდგრადობის ტენდენციას.
- სასურველია, რომ დაიხვეწოს სადოქტორო პროგრამის სილაბუსები და საერთაშორისო გამოცდილებაზე მოხდეს ორიენტირი, გასათვალისწინებელია მითითებული საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება და სადოქტორო პროგრამების სპეციფიკა.
- სასურველია ლიტერატურის მითითების ტექნიკა დაიხვეწოს და შეირჩეს ერთი სტილი რომელსაც ყველა პროფესორი შეძლებს, რომ დაიცავს.
- სასურველია ლიტერატურას დაემატოს, განსაკუთრებით კი არჩევით საგნებში, თანამედროვე ტენდენციების საკითხებში ბოლოდროინდელი კვლევები, რომელიც ონლაინ სამეცნიერო პლატფორმებზეა, ეს ეხება განსაკუთრებით ქვევრის ღვინოებს, რომელზედაც ბოლო პერიოდში დაწყებულია საერთაშორისო ასპარაზზე კვლევების ჩატარება.
- სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სასმელების ტექნოლოგიაში“ დაემატოს მონაცემთა დამუშავების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები;
- სასურველია, რომ განახლდეს ყველა მემორანდუმი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
- სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში ასევე ჩაერთოს სხვა სასწავლო კურსების პროფესორ-მასწავლებლები, ასევე ასისტენტ პროფესორები რომელთანაც გამოცდილებაც და თანამედროვე ხედვები ძალზედ მნიშვნელოვანია მომავალი დოქტორანტებისათვის.
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, ასევე უნივერსიტეტის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია რომ მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი პროფესორების სემინარები და ლექციები ჩატარდეს ონლაინ რეჟიმში, რაც ძალიან დაეხმარებათ სტუდენტებს მიიღონ საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება.
- სასურველია მაქსიმალურად მოხდეს გამოყენება საერთაშორისო თანამშრომლობების პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის ჩართვით.
- სასურველია კვლევითი კომპონენტის დაფინანსების გაზრდა ან საგრანტო დაფინანსებების მოზიდვა კვლევითი კომპონენტის სრულფასოვნად განსახორციელებლად.
- სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს/შეიმუშაოს სტრატეგია საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლების/კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აპლიკანტმა წარმოადგინოს სავარაუდო საკვლევის თემის გეგმა

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგია" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით,

7.მეშვიდე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის" სამაგისტრო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№384496 21/04/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ფიროსმანის ქ. 12, ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

✓ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვის ცილება

✓ კი

თვის ცილება განაცხადა- ანზორ ბერიძემ და თამარ სირაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდესაკითხისზე პირიმოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა მიღებული რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით განახორციელა აქტივობები, რომელთა შესახებ ანგარიშია წარმოდგენილი. საბჭოს მიერ განსაზღვრული იყო 12 რეკომენდაცია, რომლებიც შესრულებული იქნა დაწესებულების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ არ განხორციელებულა შრომის ბაზრის კვლევა, დაწესებულების წარმომადგენლები შეხვდნენ დამსაქმებლებს და ამ შეხვედრების შედეგად გაატარეს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევასთან მიმართებით დაწესებულების მხრიდან დაზუსტდა ერთი კომპონენტი, კერძოდ, მოხდა დამსაქმებელთა გამოკითხვა რეკომენდაციების შესრულების მიზნით. გამომდინარე აქედან შედეგის მიღწევა მოხდა კვლევის ერთ-ერთი ნაწილის განხორციელების გზით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:53

დასრულების დრო: 19:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის შესაბამისად სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლო ბის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში, მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 20:22 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

